საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №67/18-2

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 27 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 10 სექტემბრის №67/18-2 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- სამხარეო პროკურატურის წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც შეუფერხებლად იღებდნენ საჭირო დოკუმენტების ასლებს. მას შემდეგ რაც სისხლის სამართლის პროცესში შევიდა ცვლილებები და დაზარალებული აღარ არის მხარე, პროკურატურამ უარი უთხრა მათთვის საჭირო დოკუმენტების ასლების გადაღებაზე, რაც ესაჭიროებოდათ სხვადასხვა სასამართლო დავებში გამოსაყენებლად.

საჩივრის ავტორის თქმით, პროკურატურის უარი გაასაჩივრა სასამართლოში, რაზეც -- რაიონული სასამართლოს მოსამართლემ -- -- 2016 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით შეწყვიტა წარმოება, ხოლო აღნიშნული განჩინება -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 29 იანვრის განჩინებით, დარჩა ძალაში. საჩივრის ავტორის თქმით, მოსამართლეებმა ვერ გაიგეს მისი მოთხოვნა, რადგან მოსამართლე -- -- განჩინებაში მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-57-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ დაზარალებულად ცნობის შესახებ

დადგენილება გამოაქვს საქმის მწარმოებელ ორგანოს და ამიტომ ეს დავა არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავასო.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან სასამართლოში სარჩელი შეიტანა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე და ითხოვდა პროკურატურისგან ქმედების განხორციელებას, კერძოდ სასამართლო უნდა დარწმუნებულიყო რომ იგი იყო უფლებამოსილი პირი და უნდა დაევალებინა პროკურატურისთვის მიეცა შესაძლებლობა გადაეღო სასურველი დოკუმენტების ასლები სისხლის სამართლის საქმიდან. სასამართლომ არასწორი სახით გადაიტანა მისი მოთხოვნა განჩინებაში და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2016 წლის 12 იანვარს სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების - -- საოლქო პროკურატურის და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელე ითხოვდა პროკურატურის წერილობითი უარის უკანონოდ ცნობას და პროკურატურისთვის ქმედების განხორციელების დავალებას, კერძოდ, მოითხოვდა კორპორაცია ,,--“ შპს ,,--“-ს მეანაბრეთა ჯგუფის სახელით უფლებამოსილ პირად აღიარებას -- სამხარეო პროკურატურის წარმოებაში არსებულ და მათ მიერ 2005 წლის 24-26 თებერვალს შეწყვეტილ საქმეზე, ამ საქმეზე მისი უფლების დადგენას და ამ უფლებამოსილების ფარგლებში ამ სისხლის სამართლის საქმიდან მისთვის საინტერესო ნებისმიერი დოკუმენტის ასლის გადაღების უფლების მინიჭებას 2005-2006 წლებში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, -- სამხარეო პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების სასამართლოში სრულად წარმოდგენას.

-- რაიონულ სასამართლოს მოსამართლის -- -- 2016 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით, -- -- სარჩელზე შეწყდა წარმოება დაუშვებლობის მოტივით. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2017 წლის 29 იანვრის განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი -- რაიონულ სასამართლოს 2016 წლის 11 ოქტომბრის განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ

დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორი არ ეთანხმება მოსამართლის განჩინებაში არსებულ მსჯელობას, რაც ბუნებრივია ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს განხილვის საგანი. მოსამართლის მიერ კონკრეტულ დავაზე გაკეთებული სამართლებრივი მსჯელობა ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს მისი დისკრეციის სფეროს, რომლის შეფასებაც დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №67/18-2 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი